გაზეთის ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

იკერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეშართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბეშუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ნიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიბოედოვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

ტფილისის საადგილ-მამულო წესდების გამხილველის კომისიისაგან.

ტფილისის საადგილ-მამულო წესდების გამხილველი კომისია უცხადებს ამ ბანკის დამფუძნებელთ, რომ ამ კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ბანკის წესდების შეცვლისა უკვე დაბეჭდა და დაურიგდა ბ-ნთ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ, რათა დაურიგონ ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკის წევრებსა. (3—1)

ტფილისის «კრუჟოკში»

ᲐᲓᲐᲒᲘ

წაიკითხავს რუსულად სამს ლექციას ვეუზვის ტყაოსნის თაობაზედ.

პირველს ლექციას წაიკითხავს დღეს 24 მარტს.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკში“, შეეიკართან.

დასაწყისი 8½ საათზე.

ოთხშაბათს, **25** მარტს

ბ-ნ ალნიაშვილის ქართული ხორო ამავე ხოროს სოლისტის ბ-ნ ბურჯანაძის სასარგებლოდ აპჭმართავს საანგარებოდ ამორჩეულის სიმღერების

კონცერტს

არტისტის ი. ი. რატილის ლოტბარობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 23 მარტი

რაც დღეევანდლამდე წერილები იყო დაბეჭდილი, იმითი ვათავებთ ბუნებურ ფვინის კეთებაზედ საუბარს. რასაკვირველია, ჩვენ აქ უფლაფერი ვერ ჩამოვთვალეთ, რაც ჩვენში ბუნებურ ფვინის კეთების

ფელეტონი

თელავის ამბები

თელავს მშვენიერი მდებარეობა აქვს. გაშენებულია ცოე - გომბორის მთის ძირში, კარგა მაღლობ ადგილზედ; გარს არტაია სასიამოვნო ტყე-ველები, შემკულია აუარებელის ბალებით და ენახებით, აქა-იქ მოჩუხჩუხებს გამაცოცხლებელი ცივი წყაროები; სხვაფრივ-კი ბევრით არაფრით არ არის დაწინაურებული ეს ძველი ქართველთ დედა-ქალაქი: ქუჩები ეიწროა, მიგრეხილ-მოგრეხილი, ბინძურად შენახული. ბუნებას არა დაუკლია-რა თელავისათვის, მაგრამ თვით კაცს-კი ბევრი ხვირი არ დაუყრია. ზოგიერთს ქუჩებზედ ისე ვერ გაიელი, რომ სუნთქვა არ გაგიჭირდეს; არ ეიცი, საერთო ზნეთ გადაჭეკეიათ ამ კურთხეულებს, რომ ნაგავ-ნუგეი, საქონლის პატიკი და ყოველიფე უწმინდურობა ქუჩაში გამოიტანონ და დაჰყარონ ხოლმე, თუ რა არის? მიუახლო

ბამ თითო ცრემლის დასაფრქვევად გაგებულის ელეს-კაცის უკანასკნელს ხსენებაზედ ბევრი აატირა.

მეტად სასიამოვნო და შესანიშნავი, რომ სახელოსნო სკოლის მღვდელმა მამა დავითი გურგენიძემ პატიცი სცა განსვენებულს, მობრძანდა წირვის შემდეგ და პანაშვიდის გარდახდაში მონაწილეობა მიიღო.

ჩვენის გაზეთის რედაქტორმა იოსებ დავითაშვილის მოღვაწეობასა და მნიშვნელობაზედ სიტყვა წაიკითხა, რომელიც დაბეჭდილია „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“-ში 22 მარტსა; აკაკიმ წარმოსთქვა სიტყვა და განუმარტა საზოგადოებას ის მიზეზი, რა მიზეზითაც ასე პატივ-საცემი შეიქმნა საწყალი მუშა, ხელოსანი და გლეხი იოსებ დავითაშვილი.

*** ჩვენ გვწერენ გორიდამ, რომ წარსულს შაბათს, 21 მარტს, გორის ახალგაზდობამ გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის იოსებ დავითაშვილის მოსახსენებლადაო. პანაშვიდზე დესწრნენ ქართველნი მასწავლებელნი თითქმის ყველა სასწავლებლისაო.

*** როგორც ამბობენ, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდებს ამას იქით შეეძლებათ პირ-და-პირ სხვა-და-სხვა გიმნაზიის შესაბამს კლასში შეეიღნენ, თუ საანზაურო სკოლაშიე კარგად დაიკერენ ეგზამენსაო. ეგზამენებზე თავლ-ყურის დასაჭერად იქმნება წარმომადგენელი სწავლა-განათლების მზრუნველისაო. თვით ეს წარმომადგენელი დაიკერინებს ეგზამენს შეგირდებს სხვა მასწავლებლებთან ერთად და თუ შემდეგს კლასში გადაყვანის ღირსი აღმოჩნდება, მიიღებს მოწმობას, რომლის ძალითაც სხვა სასწავლებელში შეუძლიან გადაეიდეს და შესაბამს კლასში დაჯდესო. ეს განკარგულება ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეოთხე კლასის შეგირდებს შეეხებაო.

*** შაბათს ბანკის თეატრში, როგორც გამოცხადებული იყო, გიმნართა სალიტერატურო საღამო ცხოველის სურათებით არტისტის ვ. გუნიას სასარგებლოდ. ხალხი ნაკლებად დაესწრო ამ საღამოს. სურათები კარგად და მართლა ცხოველად იყო დადგმული მხატვარის ბ-ნ ბაშინჯაღიანის მიერ პოემიდგან «მეფე დიმიტრი თავდადებული».

*** 26 მარტს, საღამოს 7½ საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მოიისმენს ბ-ნის ზაგოროის მოხსენებას იმაზედ, რომ ამ საზოგადოების სეკრეტრის მოვალეობანი სხვა-ფრივ შეიცვალოსო. ამავე საზოგადოების დარბაზში დღეს საღამოს მეოთხე მუქთი ლექცია იქმნება ბ-ნის სტრუეეისი.

*** რადგანაც ამ უკანასკნელს დროს ტფილისში ძრიელ გახშირდნენ ლოფიანი ძაღლები, ამიტომ „ტფილისის პირუტყვთა მფარველი საზოგადოება“ აპირობს თითონ დაიწყოს მაწანწალა ძაღლების გაწყვეტა. ქუჩის მაწანწალა ძაღლებს საზოგადოება მოაგროვებს ერთს სადგურში, როგორც გვატყობინებს „კავკაზი“, შემდეგ გაასინჯვინებს და, რომელსაც ლოფიანის ნიშნები ექნება, მაშინათვე ელექტრონით მოაკვლევინებს; საღსა და კარგის ჯიშის ძაღლებს-კი პატრონს დაუბრუნებსო.

*** გაზ. «კავკაზ»-ში ეკითხულობთ, რომ მართალია საეკლესიო პოლიცია ძრიელა ცდილობს, მაგრამ აქამომდე ჩვენმა ბაყალებმა ვერ დაიშალეს ყალბობა და ხალხის მოტყუებაო. ამ რამდენისამე ხნის წინად მე-2 განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ ჯარიმა გადაახდევინა ბაყალს სტეფანე სტეფანოვს, რომელსაც ყალბი საწონი ქვები აღმოაჩნდაო.

*** გაზ. „ნოვ. ობზ.“-ს აუწყებენ პეტერბურგიდამ: რადგანაც ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ხშირად უბედურება, ხდება და ამ უბედურების მიზეზი ლიანდაგისა და შენობების ურიგოდ გაკეთებაა, უმაღლესს მთავრობას განუზრახავს შეადგინოს სახელმწიფო მოხელეთაგან კერძო კომისია, რომელიც კარგად გასინჯავს მთელს ლიანდაგს და უჩვენებს იმ ადგილებს, რომელსაც სრული გადაკეთება ეჭირება. ამ კომისიისამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ტფილისბათუმის ლიანდაგსაო.

*** გაზ. „Рус. Вѣд.“-ი გვაუწყებს, რომ „რუსეთის სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოებაში“ (მოსკოვში) თავად ა. ი. სუმბათოვს წაუკითხავს თავისი ახალი გალექსილი დრამა «Молодость Грозного» და დიდს აღტაცებაში მოუყვანია ყურის მგდებლები. აეტორი რამდენჯერმე ტაშის კვრით გამოიწვიესო.

კიდევ იმ ზავეის გამო, რომელიც ᲬᲘᲣᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲜᲐᲡ ᲨᲣᲐ ᲩᲐᲛᲝᲬᲧᲓᲐ.

სამშაბათს, 17 მარტს, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, წიფასა და ფონას სადგურს შუა დიდი უბედურება მოხდა, ზავეი ჩამოწვა და რამდენიმე კაცი დაიტანა. სულ დაუტანია ამ ზავეს თორმეტი კაცი, ამათში ექვსი ლეჩხუმელი იყო: ივანე ლიპარტიანი, გიორგი ჭიხვარია, იაკობ კოპალიანი იოსებ გოგილაძე, ამისივე ძმა გოგილაძე, რომლის სახელი არ ეიცით, და ალექსი მამარდაშვილი. პირველად დასახელებული სამი კაცი, როგორც შეეტყვეთ, ძალიან წვრილ-შვილები ყოფილან და საკადაეებს ულუკმა-პურად დაჭირიმიათ სახლობა. კიდევ კარგი თუ რაიმე შემწეობა აღმოუჩინა რკინის გზის გამეგობამ მათს ცოლ-შვილს. ოთხი კაცი იმ თორმეტში ოსები იყვნენ გორის მაზრიდგან: პეტ-ე ლოხიშვილი, თადეოზა ფიჩხაშვილი, დიმიტრი ბეკაშვილი და სარინო ლოხიშვილი. ამ საკადაეებს ორი დღე ემუშავნათ წიფაში ეიღაცა გზის მუშასთან, რომელსაც დაწერილი ჰქონდა მათი სახელი და გვარი. როცა მოსულიყვნენ ფონაშია, ეთქვათ, რომ ჩვენ-ში ძალიან შეეიწროებულნი ვართ მეპატარეებისაგან და აქედ წამოვედით, ეგენ რაიმე სამუშაური ეიშოვნოთ; ცოლ-შვილი ულუკმა-პუროდ გეყოვეს მიტოვებულიო. მეთერთმეტე ყოფილა კიკო ლომსაძე, სარხეერდგან გადმოსულა ოსურ დროებით სამუშაოდ და მეთორმეტე ფარსადანა გაჩეჩილაძე, სოფელ წვეიდგან. ლომსაძესა და გაჩეჩილაძეს აქვე გაუჩენდათ ჭირის-უფალი და კიდეც წაიღეს ამ უბედურთა გვამი. ლეჩხუმელები ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით დღეს, 19 მარტს, ქუთაისში წაიღეს. დანარჩენს ოთხს ოსს არავინ გამოუჩენდა ჯერ-ჯერობით პატრონს; როგორცა სჩანს, ჯერ ამათს ცოლ-შვილს ვერ გაუგია ეს უბედური ამბავი. ეს ოსები დასაფლავეეს აქვე, ფონას ეკლესიის სასაფლაოზედ. მათს დამარხვაზედ მღვდელი იყო მოწვეული და ყოველი წესი აღესრულათ. შეიძლება ამ ზავე ქვეშ კიდევ აღმოჩნდეს ვინმე მოყოლილი, რადგან მარტო ის ალაგი გასწმინდეს, სადაც საყარაულო იდგა; ამის გარშემო ადგილები-კი ჯერ გაუწმენდელია, მუშები ადგანან და სწმენდენ. ამ საქმეზედ ფიცხელი გამოძიება სწარმოეს.

პატარა ფელეტონი

ᲮᲐᲖᲐᲠᲓᲐᲓ ᲓᲐᲮᲐᲯᲓᲘ

(სურათი სოფლის ცხოვრებიდამ)

I

გლეხი გოგია აკლიაშვილი სცხოვრობდა სოფელ გ—ს. გოგია ძალიან მხნე კაცი იყო, ძალიანაც შრომობდა, მაგრამ სიღარიბიდგან კი ვერ ამოდიოდა. გოგია ოც-და-ხუთის წლის კაცი იქნებოდა, როდესაც მამა მოუკვდა და კარგა ვალიც, ორმოც თუმანზედ მეტი დაუგდო საკოდავს. თუმცა ერთი პატარა ენახი ჰქონდა და ერთი სახნავი მიწა, მაგრამ ამ ენახის და მიწის მოსავალი სულ მოვალეს მიჰქონდა და გოგია კი ცარიელი რჩებოდა.

— ღმერთმან გასცეს მამაჩემს ჩემ მაგიერი პასუხი და ნუ დაჰკრავ მას კარგი და კეთილი იმ გრძელ სოფელს ამოდენა ვალის დაგდებისათვის; მარტო ხელი რომ ეიყო, კიდევ არა მიშველარა, დადაეკარგებოდი მაინც სადმე, ერთ-ორს გროშს ეიშოვიდი და ძალი უმადურად, როგორც იქნებოდა, ლუკმას შეეჭამდი, მაგრამ რა უყო ამა ეხლა ამოდენა ქულფათობას! ფალეულულებდა ზშირად ფიქრებში შესული გოგია და თვალებიდგან ცრემლები გარდმოსცეოდნენ ხოლმე.

ერთს ზამთარს საწყალს გოგიას კინაღამ არ დაეხოცა ცოლ-შვილი სიცივით შეშის უქონლობის გამო. რის ხეეწნით და მუშათით გოგიამ, როგორც იყო, მეზობელს ულელი ხარი ნაჰ არ დაეუფანტავეთ კეთილს ფიქრებს, მინამ არ დაეუკარგავეთ ყოველსავე ხალისს, მინამ არ გავაშვებთ ყველგან და ყველასთან და მერე გაბარებულნი ეკეკეკამთ ფეხის ფრჩხილებზედ. წაგეკითხავთ „ალი და კომლი“. სწორედ მგოსანს აქაურები ჰყოლია მხედველობაში, როცა უწერია ეს ჩინებული იგავი. თუ ასე არ იყოს, მაშ რას ემარილებოდნენ ამ ორიოდე მოწალმართეს, რომელთა მხნეობითა და თაოსნობითაც დაარსდა „საზოგადო დეპო“, „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“, გიმართა ღარიბთა შეილთათვის საქალეაო მოსამზადებელი კლასები, გაიხსნა თელავში „წიგნთ-საკითხავი ბიბლიოთეკა“ და კიდევ რამდენს რამეს მოველოდდით (და კიდეეაც მოველით) დაუტყრომელ მოღვაწეთაგან, რომ „კომლები“ არ ასდეენებოდნენ. თელავში საკმაოდ ნასწავლნი ჰსუფევნდა ამა ერთი წამომიყენეთ, რა კეთილს საქმესა ჰფიქრობენ ისინი «ბნელითო» მოცულის ქალაქისათვის?

***

როგორც ვხედავ არც „წიგნთ საკითხავ ბიბლიოთეკას“ თანაუგრძნობენ საზოგადო დაწესებულებას. თქვენს მტერს მოუვიდეს ის საქმე, რაც ჩვენ მოგვეეა, თუ მაგათ ყოველ წლობით უმატეს და უმატეს ეს რაღაც „პროცენტია“. ჩვენ კი ტყეავი გაგვეჭრება და რა გამოვიდა—რაღათ გვინდა მერე კეთილის მომქმედი ბანკი! ღარიბნი ისეე ვიყოლიფებით და მდიდრები-კი იესებიან სარჩო საბადებლით, რადგანაც იმათი ფული მუშაობს ამ ჩასაგრეე «Торговый домъ»-ში. მადლობა უნდა უძღვნათ ისეე ი. პ. რ—ის, რომლის თაოსნობითი დაარსდა თელავში „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“. ისეე იქითგან შეგეეძიან მცირე სარგებლით გამოიტანოთ ფული.

***

აქ თელ-წინ წარმომიდგა ორიოდე აქაური მოწალმართეენი. ღმერთო, რამდენი ყაყანი იყო ამათ გამო; რამდენი რამ დაიბეედა გაზეთებში იმის გამო, რაც ამ მოწალმართეთ გაკეთეს და მოაგვარეს. ახირებული ხალხი კი ვართ სწორედ! ჩვენ თვითონ ერთს კეთილს საქმეზედ ყურს არ ეიბერტყავთ და თუ ორიოდე ეინმე დაეინახეთ, რომ კეთილს გზას დასდგომიან, დაეუწ ებთ ბიძგებას, ლანძღვას, დეეენას იქამდინ, მიმ-

ნამ ერთ ეინ ეინ ეინ

არა, ჩემი მარო სკოლაში მიბარეო. მეც ავდექი და მივბარე; ეთქვი, იქნება ჩემმა გოგონამ ისწაელოს რამე-მეთქი. რამდენისამე ხნის შემდეგ სკოლაში შევედი მაროს სანახავად და რა ენახე, კაცო: ოსტატი შეგირდეს წიგნში აკითხავდა: ხე, ხახა, ხეხე... ბიკო, ე რეებს აკითხავს ოსტატი შეგირდებს, ესთქი ჩემ გულში; ხე, ხახა, ხეხე... რა საკითხაეია-მეთქი; ავდექ და მეორე დღესვე გამოვიყვანე ჩემი მარო სკოლიდგან!

გოგიამ არ იკმარა ეს ლაპარაკი, ეტყობოდა ოსტატის მადლობელიც არ იყო და განაგრძო:

— იმ დღეს ოსტატი გვეუბნებოდა: მზესა და მთვარეს ნუ ფიცულობთ, იმათ მადლი არა აქვთო; ნურც მატყუარა მკითხავს აკითხეინებთ, ძალიან დიდი ცოდეაო. თუ ავად გაგიხდეთ ეინმე, ექიმი მოიყვანეთო. მოდი და იმას ელაპარაკე! თუ მზესა და მთვარეს მადლი არა აქვს, მაშ რაღას უნდა ჭამნდეს მადლი!? ავად რომ გამიხდეს ეინმე, სად ეირბინო ექიმთან, ან ეინ მომცა იმდენი ფულები, რომ იმას ეაძლიო; მკითხავი-კი ერთ აბაზად სუყველას გამიგებს.

III

მშეენიერი გაზაფხულის დილაა. ის არის მზე ახლად ამოდის; ყოველი სულდგმული მისს გამაცოცხლებელს სითბოს შეპხარის და სიამოენებს. სოფლის კანცელარიაში მოხელეები მომჩიერების საქმეებს აჩჩეენენ. მოხელეების წინ წარსდგება აზნაური იოთამ ჩ — ძე და მოჰყვება საჩიეარს:

— წუხელის გოგია აკლიაშეიღლი სიმინდს მპარაედა. ჯინიდგან ფაჩი-ფუჩი მომესმა, იმ წამსვე კარში გავარდი, უნდა დამეჭირა, მაგრამ ის უცებ ჯინიდგან გადმოხტა და გაიქცა; ტომარა კი იქვე გავარდა.

სთქვა ეს იოთამმა და ტომარა მოხელეების წინ დასდეა. გამოძიების შემდეგ გამოჩნდა, რომ ტომარა გოგიასი იყო.

— თუ მაგ სათოკეს რაიმე მძიმე სასჯელს არ მიაყენებთ, მე თქვენ „ნაჩალიკთან“ გიჩივლებთ. ის კი არ იკმარეთ, რომ „ზეკუციის“ დროს «ნაჩალიკი» მოატყუეთ, ჩვენ სოფელში ქურდები არ არიანო, „ზეკუციის“ ნუ გამოგზავნითო. მაგაზედ მეტი-ღა ქურდი გინდათ! ლამის სოფელი აიკლოს; მაგისათვის რომ ციმბირი თავი გეკრათ, მაშინ გაიგებდა, რაც იყო ქურდობა, ეუბნებოდა იოთამი მოხელეებს. „ნაჩალიკის“ ხსენებაზედ მოხელეები ცოტა შეფიქრიანდნენ.

— შეილოსან, მაგის გულისათვის ჩვენ რათ უნდა დაეიღუპნეთ; მაგას თუ მართლა მძიმე სასჯელი არა მიეაყენეთ რა, ეგ ქურდობას არ დაიშლის,—სთქვა ერთმა მსაჯულთაგანმა.

IV

გოგიას ქურდობა და მისი სიბრძნე-სიცრუე ძალიან შესაძრწეველ აილაგმა და საზარლადაც დაისაჯა. განრისხებულმა მოხელეებმა უბრძანეს გზირს, გოგია მოიყვანეო. სოფლის კანცელარიასთან, სადაც უნდა შესრულებულიყო ეს საზარელი სასჯელი, დიდძალი ხალხი შეიკრიბა. გზირმა მალე მოიყვანა გოგია თოკით ხელებ გაკრული.

— აბა, გზირო, დაასხი მაგ სათოკეს თავზედ ლაფი და ეკრე აატარ-ჩამოატარე სოფელში, უბრძანა მმა-სახლისმა გზირსა.

— კაცი ხომ არ მომიკლამს, რომ თავზედ ლაფს მასხამთ. თუ დაეაშვეე რაზე, სხეა ნაირად დამსაჯეთ; რომელ რჯულში თქმული ქრისტიანნის კაცის თავზედ ლაფის დასხმა, უთხრა თავლებში ცრემლებ-მორეულმა გოგიამ მოხელეებსა.

ამ სიტყვებმა სრულიადაც არ იმოქმედა შეუბრალებელ მოხელეებზედ. თავზედ ლაფი დაასხეს გოგიას და უბრძანეს გზირს, იატარ-ჩამოატარინნა სოფელში. გზირმაც მოხელეების ბრძანება შეასრულა: მუჯლუგუნის წაკერით და გინებით აატარ-ჩამოატარა სოფელში საცოდავი გოგია, რომელსაც შიშით და სირცხეილით მუხლთ მოეკეეთა და ფეხებს ძლიეს მიათრეედა. ეს ამბავი მოაგონებდა კაცს იმ საზარელ სანახავს, როდესაც ჯალათს ძალათ ჰპყავს თაეისი მსხეერპლი სახრჩობელას კიბეზედ.

— ისა სჯობდა, რომ დედას მუცელში გასწყალებოდი და არ დაბადებულიყავი, საწყალო გოგიავ, მაგ დღის მოსწრებისათეისა! გაისმოდა დედა-კაცებში, რომლებიც ბანებიდგან დაჰყურებდნენ ამ საზარელს სურათს.

ეირზედ შესმაღა დააკლდა საწყალ გოგიას, როგორც ჰქონდა ჩვეულება ძველად ჩვენს ხალხს. ამ დასჯამ დიდად იმოქმედა გოგიაზედ. შერცხეენილი და თაეს ლაფ-დასხმული გოგია დაბრუნდა თაეის სახლში.

ზ. ოქუაშვილი

ქ. ოზურგეთი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სახელოვანი მწერალი ლ. ტოლსტოი ამ ბოლოს დროს ადარ ანებებს თავს ფილოსოფოსობას და ისეთის საგნების განხილვაში შედის, როგორც, მაგალითად, ისა,—თუ რა აზრი და მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებას. ტოლსტოი არც თავის პირდაპირს მოვალეობას ბელეტრისტისას ივიწყებს, სწერს მოთხრობებს ხალხის ცხოვრებიდამ და ამ მოთხრობებში სურათებით გვიხატავს იმას, რასაც ამ ორსამს წელიწადს ფილოსოფიურს წერილებში ჭვრეტდა. იმისმა წერილებმა: „ჩემი სარწმუნოება“, „მოძღვრება იმაზედ, რომ არ ვეწინააღმდეგოთ ბოროტსა“ დიდი ამბავი მოახდინა რუსეთის მწერლობაში. ამ უკანასკნელს დროს ტოლსტოიმ დრამატურგობაცა სცადა და დასწერა დრამა ხალხის ცხოვრებიდამ „Власть тьмы“, ვითომ „ძალა სიბნელისა და უმეცრებისა“. ამ დრამამ ერთი ალიანქოთი ასტეხა ჟურნალ-გაზეთობაში. ეს დრამა უფრო ბევრს შესანიშნავ და ხელოვნურ თხზულებად მიაჩნია, თუმცა ზოგი-კი თავს იკლავს ამ დრამის გამო. ამ დრამაში ისეთი შემაძრწუნებელი, საზარელი და წაწყმენდილი ცხოვრებაა გამოხატული და წარმოდგენილი, რომ სირცხვილით უნდა გწოლდდებოდეთ, თუ მართლა ისეთია ჩვენი გლეხ-კაცობა, როგორც ტოლსტოიმ დაგვიხატა.. ამბობს გულის-ტკენით ეს უმცირესი ნაწილი.

უკანასკნელი ფილოსოფიური წერილი ტოლსტოისა ჯერ არსად არ არის დაბეჭდილი და მხოლოდ ერთის სამეცნიერო საზოგადოების კრებაზე წაუკითხავს ავტორს. მოგვაკვს მოკლედ ამ წერილის შინაარსი გაზ. „Рус. Вѣд.“-დამ:

თუ გვინდა რომ გვესმოდეს ჭეშმარიტი აზრი სიცოცხლისა, ჯერ ის უნდა შეგიტყოთ, თუ როგორ უნდა გიცხოვროთ. რასაკვირველია, უნდა გიცხოვროთ ჩვენდა სასიამოვნოთ და გუტკბებოდეთ სიცოცხლითა. როგორც ოვაზი ეძებს ღრმა წყალს, ისე კაცი უნდა ეძებდეს კარგს სამყოფელსა. მაგრამ სამეგ ეგ არის, რა არის ეგ „კარგი“, რაშია აზრი გონიერულის ცხოვრებისა? რაც უფრო ჭკუაზე მოდის კაცი და ბრძენდება, რაც უფრო კარგად ჭვრეტავს რაც მის გარშემოა, მით უფრო ცხადად უდგება თვალ-წინ ხვედრი ყოველის სულიერისა, ტანჯვა და სიკვდილი. ამ გვარი კაცი აშკარად ჭვრეტავს, რომ შიმლეგა დაკუნვა ან ხვალვე მოკვდეს, ჭგრძნობს, რომ სიკვდილის შემდეგ დაირღვევა და გაიხრწნება და მერე ნატამალიც აღარ დარჩება მისი, ხოლო ეს ქვეყანა-კი წინანდებურად იცოცხლებს და იწალმრთელს; ჭვრეტავს, რომ ამ ქვეყანაში მეტის-მეტად მცირე-რამ არის, არარაა. ეს გრძნობა თავის არარაობისა, ტანჯვის და სიკვდილის აუცილებლობასა, რასაკვირველია, სწამლავს მის სიცოცხლეს. და აი კაცი ეძებს გართობასა, უნდა შრომითა და საქმიანობით თავ-დავიწყებასს მიეცეს, აღარ იფიქროს იმაზე, რაც აუცილებელია, მაგრამ ამით ვერ ახწობს ტანჯვის გრძნობასა და უარესად აბეზრებს თავს ის საგანი, თუ რა აზრი და მნიშვნელობა აქვს მის წუთიერს სიცოცხლესა. ეს აზრი და მნიშვნელობა ეძლევა სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ, როცა კაცი იგრძნობს თავის კავშირ-კაცობრიობასთან, როცა დარწმუნდება, რომ ჭეშმარიტი ცხოვრება დღეევანდელი ჩვენი ცხოვრება არ არის, როცა მიხვდება, რომ გონიერული ცხოვრება პირადობის უარ-ყოფაა, უარ-ჭყვავი სიცოცხლე და ჭეშმარიტ ცხოვრებას დასაბამი მაშინ მიეცემა, იგრძენ ნამდვილი ცხოვრება და პირადობაც მაშინვე დაირღვევა და გაკარწყლდება. როგორც ყანაზედ ინახავენ და სპობს ზოლიელს ბაკაშრის თავის დედასთან, ისე კაცი, როცა ახალად იბადება და გონიერ არსებად გადაიქცევა, სწყვეტს კავშირს პირადობასთან. დაანებე თავი პირადს ცხოვრებას და შეუდექი ცხოვრებას მოყვასთა სიეფოსთვის და მაშინ იგრძნობ, რა ყოფილა ცხოვრება. სიცოცხლე ის არის, როცა გონების კანონს ვემსახურებით და ვემონებით. ხოლო გონიერული ცხოვრება გვარწმუნებს, რომ ქვეყანაზე არ არის სიკვდილი და არსებობს მხოლოდ განუწყვეტელი განვითარება და პროგრესსი. რაც უფრო მეტად ვანებებთ თავს პირადს ცხოვრებას და ვეუბნებით გონიერსა, როცა კაცი ზრუნავს ქვეყნისა და კაცობრობის სიკეთისთვის, მით უფრო მეტად ვსცხოვრობთ და ვძლევთ-ვმოსილობთ სიკვდილის წინააღმდეგ. ვინც სიკვდილსა ჭვრეტავს, ის ავდ-მყოფია, ვინც გონიერად სცხოვრობს, ისინიმის არც ტანჯვა არსებობს, არც სიკვდილი. უმაღლესი აზრი და მნიშვნელობა სიცოცხლისა არის სიყვარული სიმართლისა და მოყვასისა და რაც უფრო ძვიელია ეს სიყვარული, მით უფრო მეტი აზრი და მნიშვნელობა აქვს ჩვენს სიცოცხლეს. ეს სიყვარული მარტო ის კი არ არის, რომ ვგიყვარდეს ცოლი, შვილი, ნათესავები, ჩვენი თანამემამულენი; ამ გვარი სიყვარული შეიძლება უმაღლესი პირადობა და ეგოიზმი იყოს. მოყვასთა სიყვარული ისე უნდა გვესმოდეს, რომ გვიყვარდეს ყველანი, გვიყვარდეს ნაციონალი და ჭეშმარიტება თავ-განწირულებამდე, თავ-დადებულებამდე. ეს იმას კი არა ჭნიშნავს, რომ არარაობად გადაქცევასა ვლამოდეთ, პირიქით, იმასა ჭნიშნავს, რომ უნდა ვეტანებოდეთ მხნესა, შრომით სავსესა და გონიერს ცხოვრებასა, სიმარდლესა, მოყვასთვის სიკეთის ქმნასა, კაცობრობის უმაღლესს პროგრესსა და წინ-სვლასა, რაც უფრო მეტად უარ-ვყოფთ ჩვენს ჰარადობას, გძლევთ კერძოობას, ნაცვლას ტანჯვას მივიუნებთ ხალხს, ძალიერად შეგიყვარებთ სიმართლეს და მოიგებთ და გამოგიჩენთ თავ-განწირულებას, მით უფრო კარგად გაგიგია და ღრმად შეგიხმენთ გონიერის სიცოცხლის აზრსა და მნიშვნელობას და გძლევთ ჩვენს უბედობას, ტანჯვასა და სიკვდილს.

ერთის სიტყვით, ტოლსტოიის აზრით, მნიშვნელობა სიცოცხლისა ის არის, რაც ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა ორის სიტყვით დაგვიხატა:

რა არის ჩვენი სიცოცხლე,
თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვაგენთ დაცემულს,
არ ვეშველთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვსდგენთ პირიტსა,
მართლის არა ვართ მფარველი;
სხვაა ვგნესა თუ არ ვგვწუხებს,
სხვისა არ ვგესმის ტკივილი?

გრძელი სიტუეა მოკლედ ითქმის, შაირია ამბად კარგიო, ტეუილად არ უთქვამს ჩვენს რუსთაველს.

უცხოეთი

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ. ფილიპოპოლში 200-მდე მეამბოხე და მაშფოთარი დაუტანიმრებიათ.

— სტოილოვს ვენიდგან დარმშტადტში განუზრახავს წასვლა ბრანტის ალექსანდრე ბატენბერგის სანახავად.

—ᲞᲔᲢᲠᲣᲠᲒᲘᲡᲒᲐᲜ დეპეშით „ᲣᲬᲔᲣᲠᲘ „ᲭᲐᲒᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲒᲔᲗᲔᲠᲘᲡ“, რომ მაქინ-ფაშამ დრეზენში მიიღო სტამბოლდგანა: გამოუცხადა ბნს გირსსა, რომ რიზა-ბეის მაერ მოდაბარაკეას ბოლგარეიის სარეგენტო მთავრობასთან რუშჩუკში მომსდარის ამბავის გამო დროებით მეუნაებულ იქმნა; ხოლო იმედი გეაქვს, რომ მოწინააღმდეგე დასი ბოლგარეისანი მოურიგდებიან ერთმანერთისა და შეფსა და ტერობას მათ შორის ბოლო მოეკებაო. მოწინააღმდეგე დასის ზოგიერთნი წეარნი ოსმალეთმა დაიოფიდან და დაიბოძმანა. ოსმალეთის სურვილი ეს არის, რომ როგორმე გარდაწყვეტილ იქმნეს ბოლგარეიის გაძეწკეგებული საქმე, ოორეს შეიძლება ამ საქმეს, თუ ასე დარჩა, ცუდი შედეგი მოჰყეესო. ამ საქმის დასაბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში დაარსდება ახალი განყოფილება სათავად-აზნაურო ბანკისაო.

დღეს აქ მოვიდა ჩვენი ელჩი გერმანიაში, გრაფი შუვალოვი.

სოფია. ყოველისავე ნაწარმოებისათვის, რომელიც კი შემოაქვთ ავსტრო-ვენგრიიდამ დუნაის ნავთსადგურებში, კარანტინი დაადწესეს.

ბუქარესტი, „ჭავაესის საგენტოს“ დეპეშა. ის გემი, რომელზედაც ეწვი იყო შეტანილი, სოფიიდამ მოსულის დეპეშის სიტყვით, თურმე ნორვეგიის გემი „უნატა“ გამოდგა და რადუეგაცში მიმავლებულა, რომ იქ დვინით უნდა დატვირთულიყოფო.

23 მარტი

პეტერბურგი. გაზეთა „Новости“ გვაუწყებს, რომ კომისიამ, რომელიც ადგილობრივ დაწესებულებათა (мѣстныя учрежденія) შესაცვლელად იყო შედგენილი, თავის საქმე შეასრულაო. გარდაწყვეტილია პროექტი, რომ იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არის შემოღებული, ერობის უფროსები (земскіе начальники) დაინიშნან. რადგან ამ უფროსებმა ადმინისტრატიულ თანამდებობის გარდა მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობაც უნდა ასრულონ, ამიტომ კომისიას იმის წესებიც შეუდგენია, თუ როგორ და რა წესით უნდა აწარმოებდნენ საქმესა როგორც ერობის უფროსები აგრეთვე ამათი გრებული (съѣздъ) გაზ. „Новое Время„-ს შეუტყვია: ფინანსთა სამინისტროს პროექტი შეუტანია სახელმწიფო რჩევაში, რომ პასპორტებს საზღვარ-გარედ წასასვლელად დიდი გადასახადი დაედოსო: სულ მცირე გადასახადი პასპორტზე, სამის თვის ვადით, 30 მანათი იქნება ოქროთი, ერთის წლის ვადით ყოველ თვეში 15 მანათი უნდა გადაჭრდეს, თუ ერთს წელიწადზე მეტის ვადით იქნება პასპორტი აღებული, მაშინ დდეში თითო მანათი გამოერთმევა ოქროთი, ე. ი. წელიწადში 360 მანათი ოქროთი.

მადრიდი. გუშინ დეპუტატთა პალატის სხდომის დროს, დარბაზის შესავალ კარების უკან ცეცხლმოკიდებული მასრა იპოვეს, რომელშიაც ასაფეთქებელი წამალი იყო ჩაყრილი. ფინანსთა სამინისტროს კიბეზე ასეთივე მასრა ააფეთქეს წარსულს ღამეს და ფანჯრის რამდენიმე მინა ჩაიმტვრა.

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს მარტს

ფასები:

	ბუღალტერიისა	ბანკისა	ბეღელისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— »	— »	9 27
ტამოჟნის კუპონები	— »	— »	190¾
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— »	— »	245¼
— მეორისა	— »	— »	230½
გირავნობის ფურცლები:			
ტფილისის ბანკისა	— »	— »	97 »
ქუთაისის ბანკისა	— »	— »	97 »
ტფილისის სურთიერთო ხდომ. ს. ზო კავლების	— »	— »	84½

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1887) წელიწადნი. მსოფლიოს შექმნიდამ **7395**.

ქვეყანიდან ქრისტეს მე-14, ამისი ქორონიკონი—ოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადნი. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულიწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 იანისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

24 დღე სამშაბათი. ლირსისა ზაქარიასი და ეპანს. არტემასი. კეთილ. მარკისა, ტიმოთესი და პალმირისა. ქვეშარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—31.

25 დღე ოთხშაბათი. ხარება უოველად წმიდის ღვთის მშობლის მარიამისა. კეთილ. ხარება. მუსულ. მე-13 რიცხვი თოვისა რაჯაბისა, 1304 წ. ჰეჯრისა. დაბადება მე-4 ხალიფისა (შიიტ.) ჩამოსელა ტფილისში გრაფის მიხეილ სიმონის-ძის ვარანცოვისა, 1845 წ.—ძველის აგება თავად მიხეილ სიმონის ძის ვარანცოვისა, 1867. ქვეშარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—32. მოვარე 14 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. კრება გაბრიელ მოვარა-ანგელოზისა. კეთილ. ემინელისა, ლიუდგერისა და ოლიმპიასი. სომეხ მე-29 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-14 რიცხვი თოვისა რეჯაბისა 1304 წ. ჰეჯრისა. ქვეშარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—33 ჩადის 6—33, მოვარე 15 დღისაა.

გამოსალეველი ცნობანი

ნახრა

1 მარტიდამ აპრილამდე.

თუთრი შური რუსული 1 კიბ.	5	კაპ.
წითელი შური 1-ის ხარისხისა	3	»
» » 2 »	2½	»
ოთხის წითელი შური 1-ის ხარის.	5	»
» » 2—	3½	»
» » 3 »	3	»
ჯვარის ბამის შურის ლაგაში		
1 ლის ხარისხისა	5	»
მე-2 ხარისხისა	4	»
მე-3 —	3½	»
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8	»
» 2 »	7	»
სუკი.	14	»
ცხვრის ხორცი	10	»
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	»	»
» 2 »	»	»

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დ ი ლ ი თ					დ ი ლ ი თ			
ტფილისი	—	—	8	49	ბათუმი	—	—	8	4
აღვალა	9	9	9	11	ქობულეთი	8	54	8	57
მცხეთა	9	32	9	40	ნატანები	9	25	9	29
ქსანი	10	3	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი	10	33	10	36	ლანჩხუთი	10	35	10	39
გრაკალი	10	59	11	1	ნიგოითი	10	51	10	53
ბორი	11	25	11	40	საკავეხო	11	14	11	16
ქარელი	12	8	12	11	ხამტრედა	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი	12	13	12	16
ხაშური	1	2	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი	2	—	2	3	ყვირილა	1	58	2	10
ბეჟათუბანი	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი	3	45	3	48	ბელავორი	3	17	3	20
ბელავორი	4	15	4	18	მარელისი	3	47	3	49
ძირულა	4	45	4	48	ბეჟათუბანი	4	18	4	37
ყვირილა	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი	6	14	6	16		ს ა ღ ა მ ო ი			
	ს ა ღ ა მ ო ი				სურამი	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური	6	17	6	32
კოპიტნარი	7	08	7	10	გომი	6	50	6	54
ხამტრედა	7	29	7	49	ქარელი	7	16	7	19
საკავეხო	8	5	8	7	ბორი	7	44	7	54
ნიგოითი	8	27	8	30	გრაკალი	8	15	8	17
ლანჩხუთი	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	9
ნატანები	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი	10	22	10	25	აღვალა	9	52	9	54
ბათუმი	11	13	—	—	ტფილისი	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დ ი ლ ი თ					ღ ა მ ი თ			
ტფილისი	—	—	3	21	სურამი	—	—	2	59
აღვალა	3	46	3	49	ხაშური	3	11	3	27
მცხეთა	4	19	4	25	გომი	3	50	3	55
ქსანი	4	49	4	52	ქარელი	4	24	4	31
კასპი	5	24	5	29	ბორი	5	4	5	19
გრაკალი	6	—	6	3	გრაკალი	5	46	5	51
	ს ა ღ ა მ ო ი					დ ი ლ ი თ			
ბორი	6	31	6	45	კასპი	6	18	6	24
ქარელი	7	18	7	24	ქსანი	6	55	6	59
გომი	7	53	8	1	მცხეთა	7	24	7	32
ხაშური	8	24	8	38	აღვალა	7	55	7	58
სურამი	8	50	—	—	ტფილისი	8	24	—	—

მიმოსელა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სუშადღევეს 4 სასთუნად მოკლე გზით და ნოგორასიისკსა და კერჩში შეიგზავნის.

შაბათობით საღამოს 8 სასთზე ზორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეიგზავნის).

კვირაობით საღამოთა, სამშაბათ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისს ზორის გზით—

პარასკევობით დიდით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოგორასიისკში შესვლით).

შაბათობით დიდით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, ამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი ზორის გზით. ხუთშაბათობით—დიდის 9 სასთზე და მიასწრებს მოკლეს გზით მოსაბრუნელ კუკასიასა და ურიმის გემს

შაბათობით დიდის 9 სასთზე და მიასწრებს ზორის გზით მოსაბრუნელ კუკასიას-ურიმსა და რუმელია-ანატოლიასკენ წამოსელას გეშებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ ბათუმის საკენტრო გადასწყვეტს სოდმე, როდის წკა უკან.

ამს გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდან ოდესიდამ და ურიმ-კუკასიის ნავთსადგურებიდამ გადასწყვეტილს ვადაზე გეშები

კვირაობით, სალამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გასთავეენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ურიმ-კუკასია ნავთ-სადგურებისკენ, სოდმ თუ საკმარა ფოთამაც შეიგზავნან სოდმე.

რუსეთის სანავთნო საზოგადოებას საკენტრო ამოფეფეს სასახლის ქუჩაზე, არწერეთისეულს ქარგასლაში, № 101.

ვერძი განცხადებანი

გაზეთის „ცისკრის“ რედაქცია აცნობებსთავის ხელის-9 მომწერთ, რომ იგი იძულებულია შეეჩეროს გაზეთის გამოცემა ამწლის აპრილის 19-მდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ეხლანდელმა რედაქციამ დადასწყვიტა შეასწოროს და შეაესოს გაზეთის პროგრამმა, მოიწვიოს აგრონომიული ნაწილის რედაქტორად სპეციალისტი-აგრონომი; მოიწვიოს აგრეთვე პედაგოგები და სხვა და-სხვა განეითარებულნი პირნი სხვა-და-სხვა წერილებისათვის, —ერთის სიტყვით, მოახდინოს სრული ცელილება ეხლანდელ რედაქციისა. აგრეთვე რედაქცია ამ დროის განმავლობაში ჰმართავს თავის საკუთარს სტამბას.

საქართველო-იმერეთის ქანტორისაგან.

უწმინდესისა და უმართებულესის სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის სამმართველოში (присутствіе) ამა 1887 წლის 12 აპრილისათვის დანიშნულია ეკურობა. ამ ეკურობაზედ გაიცემა იჯარით იოანე-ნათლის-მცემლის მონასტრის სათიბი ადგილები. ხელ-მეორე ანუ განმეორებითი ეკურობა სამს დღეს უკან იქნება. ეისაც ჰსურს აიღოს იჯარით ზემოხსენებული სათიბი მინდერები, უნდა შემოიტანოს არზა ღერბოვის ქალაქზედ დაწერილი სინოდის კანტორაში და ითხოვოს, რომ ნება მისცენ ეკურობაში შესვლისა. მსურველთ შეუძლიანთ დაბეჭდილი ქალაქდი შემოიტანონ დანიშნულ დროსათვის, დილის 10 საათზე. ამ ქალაქდთან ერთად უნდა წარმოადგინონ ჯერობანი ბეი ან ნაღდ ფულად და ან საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებად და აგრეთვე ქალაქდი იმისი, თუ რა წოდებისაა იჯარით მამულის აღების მსურველი. პირობის შეტყობა შეიძლება სინოდალურ კანტორის კანცელარიაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—1)

თამბაქოს და პაპიროსები

დანის როსტოგელ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქარიოვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ეცნობოთ პატიერსახან მუშტერთა და თუთუნის გაჯართა, რომ ამა წლის 15 თებერვალიდგან ჩვენ დაეიწყეთ თამბაქოს გაჯრობა; ეკიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოხაწეგია, გრიდია და სასაამოვნად ხუნელოგანი, რომ დიდი ხმა აქეს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბეერს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამერკაკავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავაერცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბატონთ კარგნი იმდენი დადუმობათ თუთუნის ხეიდგან დროს, რამდენსაც ხაზოგადოდ ფაბრიკეები უმობენ ხოდმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—7)

დაიბეჭდა ახალი საკმაწვილო

წიგნი

„ბოლალური“

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკეანისა და გრიქოროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკეანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

სამილსის თვით ბიოგრაფია

თარგ. იე. როსტომაშვილისმიერ.

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი

Д. т. печ. Тиф. 23 марта. 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (И. И. Фрейгель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე